



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება



განკარგულება:გ-13.13203496

თარიღი:14/12/2020

საქართველოს მეფის - გიორგი V ბრწყინვალეს მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე საკითხის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის , „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 ნოემბრის N22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად,

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი ქ. ახალციხეში საქართველოს მეფის - გიორგი V ბრწყინვალეს ძეგლის (ქანდაკების) განთავსება.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ „ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 ნოემბრის N22 დადგენილების შესაბამისად უზრუნველყოს საჭირო მოსამზადებელი ორგანიზაციული და საფინანსო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებალიშვილის ქ. N62), მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

